საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო -
ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
Territorial Entity of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia –
Educational Resource Center of Isani-Samgori District Tbilisi

08/12/2025

MES 0 25 0001749944

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავჯდომარეს, ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით განსაზღვრულ ანგარიშს, კერძოდ:

ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზები

- დაწესებულების ხარჯთაღრიცხვის ნუსხა;
- დაწესებულების მოსამსახურეთა ბაზა;
- შემოსული/გასული წერილები;
- ინფორმაცია რესურსცენტრის და სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის შესახებ;
- საჯარო და კერძო სკოლების შესახებ არსებული საჯარო ინფორმაციათა ბაზები;
- სკოლების საშტატო განრიგები და სატარიფიკაციო სიები;
- სამეურვეო საბჭოების შესახებ ინფორმაციული ბაზა;
- სკოლის დირექტორების დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბაზა;
- ინფორმაცია ექსტერნატის ფორმით გამოცდაზე დარეგისტრირებული პირების შესახებ;
- მონაცემები სკოლების მიერ არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ;
- ინფორმაცია სკოლების მიერ იჯარით გაცემული ფართების შესახებ;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერთიფიკატების გაცემის რეესტრი;
- ინფორმაცია საჯარო სკოლებში მოსწავლეთათვის სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ;
- ინფორმაცია პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული პედაგოგების შესახებ;
- ინფორმაცია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართული სკოლების/მოსწავლეების შესახებ;
- ინფორმაცია სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეების შესახებ.

0190 ქ. თბილისი, ვარკეთილის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი
Micro-District N4, 2 nd line, Varketili 0190 Georgia
ელ-ფოსტა/E-mail: isanisamgori@mes.gov.ge ტელ/tel (+995 32) 2 77 86 85; 2 54 64 20

ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და შენახვის შესახებ

რესურსცენტრი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, აგროვებს, ამუშავებს და ინახავს პერსონალურ მონაცემებს რესურსცენტრის მოსამსახურეთა და რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შესახებ.

2025 წლის განმავლობაში შეგროვებულ და დამუშავებულ იქნა შემდეგი მონაცემები:

- მონაცემები ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების ფარგლებში;
- მონაცემები პრეზიდენტის პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში;
- მონაცემები მოსწავლეთა შესახებ მათთვის პორტატული კომპიუტერების გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით;
- მონაცემები ექსტერნების შესახებ ექსტერნატის ფორმით გამოცდებზე მათი რეგისტრაციის მიზნით;
- მონაცემები მოქალაქეების შესახებ, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგად/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი სწავლის, შესაბამისი ზოგადი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების ან/და მათზე ატესტატის/დიპლომის/სერთიფიკატის გაცემის დადასტურების მიზნით;

პერსონალური მონაცემების გაცემა ხდება მხოლოდ კანონით მკაცრად/პირდაპირ დადგენილი წესით, ფორმით, ფარგლებსა და შემთხვევებში.

ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის და გაცემის შესახებ

2025 წლის განმავლობაში დაწესებულებაში შემოვიდა:

1. 3 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა;
2. მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არ შემოსულა;
3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნაზე უარი არ გაცემულა;
4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა;
5. საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელი არ დადებულა;
6. დაწესებულებას არ გაუწევია ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, ასევე, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
/ ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
როსტიაშვილი-წიკლაური მეგი